საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724178001
თარიღი:26/06/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის ოქმი N11

დ.ლენტეხი. 20/ივნისი/2024წ

მიმდინარე წლის 20 ივნისს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 5(ხუთი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.**

   /მომხს: საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

   /თანამომხს: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ.მ ფართის უსასყიდლოდ უზურფუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   / მომხს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

3. **მერიის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული ნაგავმზიდი 861 260 00(რვაას სამოცდაერთი ათას ორას სამოცი) ლარის ქონების ა(ა)ი.პ ლენტეხის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის გადაცემის თაობაზე.**

/ მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირა გვიჭიანი/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭიყრა:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესწავლის შედეგად გააკეთა ზოგადი დასკვნა. დასკვნის მიხედვით გაცემულია რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციებს უნდა გაეცეს პასუხი;

ეს რეკომენდაციებია:

1.სხვადასხვა დასახლებაში ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს დეტალური გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საჭიროება და მათი დაკმაყოფილების გზები;

2.სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა ჩამოაყალიბოს როგორც მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილი ან ცალკე დოკუმენტი, რომელშიც პროგრამის დოკუმენტი განისაზღვრება კონკრეტული პროექტების /დასახლებების? მიხედვით;

3.ნათლად ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვროს პროგრამის მიზნები რომლებიც თანხვედრაში იქნება ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე განსაზღვრულ პროგრამის მიზნებთან;

4. განსაზღვეოს პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები, რომლებიც იქნება კონკრეტული გაზომვადი და მიღწევადი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა დასვა შეკითხვა: რა ხორცილედება და რა შეიძლება გაკეთდეს სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აუცილებელია მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა ინფორმაციას იღებს, ელექტრონული სისტემის ვებ-გვერდის, რწმუნებულების და დეპუტატების ჩართულობით.

აუდიტის სამსახურის უფროსმა გერმან ქურსაბედიანმა აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურები ინფორმირებული არიან აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კონკრეტული დავალება მიეცემა ინფრასტრუქტურის სამსახურს და შემოსული რეკომენდაციების თანახმად განახორციელებენ საქმიანობას. რეკომენდაციები არ ეხება სამხედროს კულტურის და სოციალურ სამსახურებს.

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება:

ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს უხელმძღვანელოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას და შედეგების შესახებ აცნობოს საკრებულოს.

2.მოისმინეს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N-536 განკარგულების პირველი მუხლის თანახმად ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს სამხედრო აღრიცხვის და მუნიციპალურ განყოფილებებს პირდაპირი განკარგვის წესით მხარეთა შეთანხმებით გადასცეხ ქონება 2026 წლის პირველ იანვრამდე.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით 18 ივნისს საკრებულოში შემოვიდა მერის წერილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ.მ ფართის უსასყიდლოდ უზურფუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. მომხსენებელმა განმარტა, რომ მსჯელობა არის იმ ფართზე, რასაც იყენებდა სამხედრო სამსახური დღემდე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ.მ ფართის უსასყიდლოდ უზურფუქტით გადაცემაზე.

3.მოისმინეს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ირა გვიჭიანმ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი მერიის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული ნაგავმზიდი 861 260 00(რვაას სამოცდაერთი ათას ორას სამოცი) ლარის ქონების ა(ა)ი.პ ლენტეხის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის გადაცემის თაობაზე.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ივნისის N 96-962417119 წერილის თანახმად მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს - მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული ნაგავმზიდის 861 260 00 (რვაას სამოცდაერთი ათას ორას სამოცი) ლარის ღირებულების მოძრავი ქონების (სპეციალიზებული 2023 წლის გამოშვების თვითმცლელი ნაგავმზიდის სახელმწიფო ნომრით GR251GG და 2024 წელის გამოშვების თვითმცლელი ნაგავმზიდის სახელმწიფო ნომრით NT471NN) სარგებლობაში უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ლენტეხის კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობის სამსახურისათვის გადაცემის თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 12 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი